# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ.
საზღვარგარეთ: წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 19
წელიწადი პირველი
1912

ხუთშაბათი, 1[illegible]

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, Ивановის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავაქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა 1912 წ. 26 სექტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

# იმერეთი

✖ (წელიწადი პირველი) ✖

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| ცალკე ნუმერი . . . | შაურათ. |

1 ოკტომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებსა და სოფლის მასწავლებლებს დაეთმობათ მანეთ ნახევრათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 [illegible]., მეოთხეზე აბაზათ, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად.

ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „Имерети" Антону Михаиловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

გაზეთი „იმერეთი" იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრეამხანაგების ხვინგიასთან. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

პაიზე დაფუძნებული ამხანაგობა

## ს. მ. კირაკოზოვის და ზ. გ. ოზანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მომავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

დ ი დ ი ს ა რ ჩ ე ვ ი:

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროჟკის", გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისთვის.

სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

მაღაზია და საწყობში სავსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

რადგანაც ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები ქ. მოსკოვისა, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ.

მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნარდ ფასათ.

ქუთაისის განყოფილება.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!.

ახლათ მიღებული საქონელი შემთხვევით ნაყიდი და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის.

გაყიდვა დაიწყება დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში, ბულვარის პირდაპირ ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: ქაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები. 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაქრობით; კალოშები, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წვიმსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წვიმსაკრავი ქალთა და ბავშებისათვის. სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველდღე.

ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ. პატივისცემით ა. ახვლედიანი.

## გაიხსნა ახალი სავაჭრო სახლი

სრულიად ახალი საქონლით

## ივანე მარკოზის-ძის კაკაბაძისა

ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, ძმათა გოკიელთ სავაჭროს გვერდ.

სავაჭრო სახლში მოიპოვება ახლათ მიღებული: ყოველგვარი საბაკალეინო და საგასტრონომიო საქონელი. საზღვარგარეთის და რუსეთის ყოველნაირი მაგარი სასმელი, სამკურნალო და სუფრის ღვინო.

და აგრეთვე ყველა ცნობილი ფირმის საკონდიტერო ტკბილეულობა და კონსერვები

ფასები ზომიერი, ყოველი კონკურენციის გარეშე და შეუვაჭრებლათ.

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:

✖✖✖ ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ✖✖✖

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა ლექსი და ბელეტრისტიკული ნაწარმოები, (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთოს მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა. ზორმატი ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდაც შეიძლება სამ ნაწილათ? 3 მან. ხელის მოწერისათანავე 3 მ. ეკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 160 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10 პროც. დაეთმობა. გასაყიდათ წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში. წიგნის დაკვეთა შეიძლება: თფილისში, ქორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში. თფილისში აგენტათ დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან. ფოთში—იონა მეუნარგიასთან. სამტრედიაში—ი. სტურუასთან, სიღნაღში—აქ. ჯანდიერთან. სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. თელავში—თამარ აბაშიძის ასულთან ხონში—ჭიჭინაძის მეუღ. ეფროსინესთან. ბაქოში—ილია აგლაძესთან. ოზურგ.—აქ. დიმიტრისთავთან. ერევანში—ელენე ვირსალაძესთან. ბათომში—ს. მდივანთან. ძავკავში—ქალანდარიშვ. მეუღ. სოფიოსთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვ. ასულთან. ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოშტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.



ЛИЦЪ, желающихъ имѣть настроенные инструменты, въ полной исправности, просятъ обращаться въ гостин. „Франція" къ М. Я. Ксендзацкому до 19-го октября.



მოდნო მანუფაქტურის მაღაზია

## ზ. ს. ბუტულოვისა

მ ი ვ ი ღ ე თ

რუსეთისა და საზღვარგარ. ქარხნების საუკეთესო ახალ-მოდის საქონელი

დიდძალი არჩევა შალეულობის, მაუდების, აბრეშუმებისა და თეთრეულის. სუფრის და ხელსახოცის საუკეთესო ნაწარმოები.

მოწაფეების და ყველა დარგის მოხელეების ფორმის მატერიები.

✖✖ ყველა საქონელზე ფასი რიგიანი და შეუვაჭრებლათ. ✖✖

გიმნაზიის ქუჩა, ბაღის პირდაპირ. ტელეფონი № 28.

მ ი ა ქ ც ი ე თ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

## ✖ გ. დ. კაჭკაჭოვის ✖

ახლათ გაღებული ფართლეულობის

მ ა ღ ა ზ ი ა

ბულვარის პირდაპირ.

მივიღეთ და ყოველდღე ვღებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს" შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ✖✖✖ ფასათ და უვაჭროთ. ✖✖✖

განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსში 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

## ალექსანდრე კოსტავას

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსასხურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს" ძლიერ ხელმისაწვდომ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

## ბ. გ. ბიბინეიშვილისა

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში ყოველდღე დილის 10—12 საათამდი. თფილისის ქუჩა, № 21

ВОЗОБНОВЛЯЮ УРОКИ на СКРИПКѢ, МАНДАЛИНѢ и по элементарной теоріи МУЗЫКИ по доступнымъ цѣнамъ.

АДРЕСЪ: Александр. ул., спросить [illegible] магазинѣ Джанели[illegible] противъ Семей[illegible] Сада.

განვაახლე სკრიპკისა, მანდალინისა, და აგრეთვე მუსიკის ელემენტალური თეორიის გაკვეთილები.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

მისამართი: ალექსანდრეს ქ., ეკითხეთ ჯანელიძის მაღაზიაში, საოჯახო ბაღის პირდაპირ.

## აქიმი ჯაფარიძე

ილებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს.

თფილისის ქუჩა, სახლი ნიჟარაძისა.

## ბებია ქალი ე. ი. გუდაგოვსკისა,

ვკურნავ კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით. ივანოვის ქუჩა, სახლი ბაჯიოღლისა № 20.

## აქიმი გ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული

გადავიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

## აქიმი ი. ჩარექოვი

დაბრუნდა აგარაკიდან და ილებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

## აქიმი ვ. ს. ფეშინი

ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა [ცისტოსკოპია საშარდე] ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატეტერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს. გოშპიტ ქ.

## აქიმი ბ. ა. მირაქოვი

ღებულობს შინაგან, ყელის, ცხვირის, და ყურის სნეულობით ავათმყოფს. დილის 8—12 ს. და საღამოს 5—8 ს. ლევაშოვის ქ. საკუთარი სახლი № 19. შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

## აქიმი ი. ტოგონიძე.

ილებს შინაგან, ქალის სნეულებითა და საბებიო ავათმყოფთ.

ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ, ჩელინგაროვის სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ტ. ბალანჩივაძისა.

ქვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება. ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაკეცებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.

ზენერლის ქ. აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლებში.

## ვამზადებ შინაურ სადილს

მსურველს შეუძლია მიმართოს და პირობები გაიგოს აბოონის ჩასახვევში საკ. სახლი ალექსი ჭებაძესთან.

## ბ ე ბ ი ა ქ ა ლ ი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად ილებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

# დღიური.

სერბიელები ოსმალებს ამარცხებენ. უსკიუბში დამარცხების შემდეგ მატარებელში ადგილის შოვნისთვის ოსმალები ერთმანეთს ხოცვენ.

— ათინაში დიდი განგაშია ბერძნების გამარჯვების გამო, რუსის თავისუფალი ჯარის კაცების ჩასვლის დროს იქ დიდი ამბავი მოუხდენიათ.

— მეფე ფერდინადმა ძველი სერბიელების მიმართაც გამოსცა მანიფესტი. ხალხს პირდება სარწმუნოების თავისუფლებას და ქონების უზრუნველყოფას.

— სოფიაში ჯაშუშობისათვის ერთი ქალი სიკვდილით დასაჯეს.

— ოდესიდან საბერძნეთში წავიდა წითელი ჯვრის საზოგადოების სანიტარული რაზმი.

— მადრიდში სტუდენტებმა დეპუტატთა პალატის წინ მანიფესტაცია მოახდინა. ჯარმა მანიფესტანტები გაფანტა.

ოსმალეთის ჯარში საოფლე გაჩნდა.

— მოსკოვს ბულგარეთის საქმეთა გარეშე მინისტრი მივიდა.

უმაღლესი ბძანებით დეპუტატის არჩევანი ყველგან 25 ოკტომბრამდი უნდა მოხდეს.

— დრენის და ლაპუშნიკის ოლქები 100 სოფელი სერბიელების მხარეს გადავიდა.

— ხაბაროვსკის მახლობლად ნაადრევმა ყინვამ 71 ორთქლ-მავალი გაყინვა გზაში.

— საზღვარგარეთში მცხოვრებთაგან სლოვიანთაგან ნაციონალური საქმისთვის შემოწირულება რამდენიმე მილიონამდი ავიდა.

— ომში დაიჭრა პრინცი აბდულრახიმი.

- ბულგარელებმა მტერს 10 ვაგონიანი მატარებელი წაართვეს.

— მემკვიდრე პრინცი იზზედინი ომში მიდის.

— ნაზიმ-ფაშას ჯარს 100 მეომარს უკან დახევისათვის სამხედრო სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა. მათში უმრავლესობა ქრისტიანია.

# ახალი ამბავი.

### არჩევანი.

საგუბერნიო კომისიამ სამაზრო კომისიის გადაწყვეტილება დაადასტურა ქალაქის არჩევანის შესახებ.

-- ფოთის არჩევანი საგუბერნიო კომისიამ გააუქმა და ხელახალი არჩევანი იქ აღარ მოხდება. „დასელებს“ იქაური ორი ხმა დააკლდათ.

-- მიუხედავათ იმისა, რომ ბ.ბ. ივლ. ანჯაფარიძემ, სოლ. მიქელაძემ და ა. ჩიკვაიძემ გაზეთის საშვალებით განაცხადეს, რომ მათ არა სურთ კანდიდატებათ ირიცხებოდენ და ის მოწოდება და ბიულეტენები, სადაც ამათი სახელები მოუქცევიათ ყალბია, ბ. დიდიმ ჩიკვაიძე და ამის თანამოაზრენი გუშინ კიდე დაძრწოდენ და ხალხს ამ ბიულეტენებს აჩეჩებდენ.

### ქუთაისი.

✦ ამ მოკლე დროში ქუთ. საოლქო სასამართლოში გაირჩევა გაზ. „მნათობის“ ყოფილი რედაქტორის რაჟდენ ვაჩრიძის საქმე. ის პასუხისგებაშია მიცემული მთავრობის საწინაამდეგო წერილის მოთავსებისათვის. ამას გარდა სამოსამართლო პალატის მიერ მისჯილი აქვს ამნაირივე წერილისათვის ერთი წლის ციხე.

✦ თფილისის სამოსამართლო პალატამ 29 სეკტემბერს დაამტკიცა ძუკუ შავდიას საქმე, რომელსაც 6 წლის კატორღა ქონდა გადაწყვეტილი.

✦ როგორც ამასწინათ ვსწერდით, ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოს პირველ განყოფილებაში დილა-საღამოს ლოცვა უკვე დაუწყიათ.

✦ 2 ნოემბერს თფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩევა პეტრე ემუხვარის, თათარიშვილის, სამსონ წივწივაძისა და ვანო ლამაიას საქმე; მათ ქუთ. ოლქის სასამართლომ სხვადასხვა ვადით კატორღა გადაუწყვიტა. ამათ ბრალდებათ სამსახურის გარეშე მყოფი გენერლის იგუმენოვის გაცარცვა.

✦ 14 ოკტომბერს, ქუთ. საგუბერნიო სატუსაღოდან ბათომის ციხეში გაგზავნეს ბრიგოლ გაჩავა, ანტონ და იზმაილ ტულუები. იქ მათ საქმეს გაარჩევს თფილისის სამოსამართლო პალატის სესია. მათ ბრალდება დაცემა, რისთვისაც საოლქო სასამართლომ სხვადასხვა ვადით კატორღა გადაუწყვიტა.

✦ 13 ოკტომბერს, საოლქო სასამართლომ გაარჩია ილარიონ ზაქარაიას საქმე. მას აბრალებდენ თავის სახლის დაწვის განზრახვას. სასამართლომ ზაქარაია დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა მას ხუთი წლის კატორღა. ზაქარაიას იცავდა ნაფიცი ვექილი ა. ჩიკვაიძე.

✦ ბუშინ არჩევნების გამო ქუთაისში ახლო-მახლო სოფლებიდან და დაბებიდან ბევრი ხალხი ჩამოვიდა. ქალაქს სიცოცხლე დაეტყო, ბაზარი ხალხით აივსო.

✦ ფოთში მასწავლებელის პეტრე ქუთათელაძის თაოსნობით კომისია აირჩიეს, რომელმაც წ. კ. საზოგადოების შკოლა უნდა დაარსოს ნაბადაში. კომისიაში შედიან: ჯიბლაძე, მახარაძე მილორავა და მაკაწარია.

✦ მიუხედავად ცუდი ამინდისა ყურძენი ქუთაისში მაინც ბლომათ შემოდის. სოფლელები სჩივიან, რომ ამ კვირაში ცუდმა ამინდმა მეტათ შეგვიშალა ხელიო. წვიმების გამო ყურძენი ვერ მოგვიკრეფია და ქუთაისში ვერ შემოგვიტანიაო.

✦ როგორც გვატყობინებენ წელს ქვემო იმერეთში სიმინდის მოსავალი ძლიერ ცუდი ყოფილა. ხონიდან გვწერენ რაც შარშან იყო იმის ნახევარიც კი არ მოგვსვლია წელსო.

✦ აკაკის განუზრახავს თავისი ახალი პოემის.

რაჭა—ლეჩხუმში მოგზაურობის გამო დაწერილის გამოცემა.

✦ თფილისში 28 ოკტომბერს იქაური დრამატიული საზოგადოების წლიური კრება მოხდება.

✦ ბარიეს სამ-მოქმედებიანი პიესა— „დასჯილი“ ქართულად გადაუთარგმნია ვანო საათიშვილს და მალე დაიბეჭდება.

✦ თფილისის დრამატიული საზოგადოების დავალებით ნარკანი თარგმანის შერომ ა. შერომის პიესას—„მესამე სართულის მდგმური“.

✦ შაბათს 20 ოკტომბერს თფილისის ახალ კლუბში ჩვენი ახალგაზდა კომპოზიტორი ა. ფოცხვერაშვილი ქართულ კონცერტს მართავს. პირველ კონცერტს თფილისში გამართულს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

✦ ქართულ დასს—მოგზაურს ბათუმში 14 ოკტომბერს გაუმართავს წარმოდგენა. წარმოუდგენიათ ისტორიული პიესა „შოთა რუსთაველი“. ცუდი ამინდი ყოფილა, მაგრამ წარმოდგენას ხალხი მაინც ბლომათ დასწრებია. შემდეგ წარმოდგენას 21-ს და 22 ოკტომბერს გამართავსო.

✦ როგორც დეპ. საგ. იუწყება, იმ ბოროტგამზრახველებს, რომელთაც 1909 წელში ბორის ხაზინის გასაცარცვავათ ხაზინის ქვეშ ხვრელი გაიყვანეს, სასამართლომ გადაუწყვიტა სამს ხუთ-ხუთი წლის გამასწორებელი რაზმი, ერთს ოთხი წლის ერთს—სამი წლის ნახევრის ციხე და 5 გაამართლა.

# ებრაელთა და სომეხთა მიმართ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ ებრაელები, რომელნიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენთან, ქრისტიან ქართველებთან, ერთად მედგრათ ეწეოდენ ჩვენთვის ბედისგან მოვლინებულ უღელს! ჩვენი ჭირი მათაც ჭირად მიაჩნდათ და ლხინი ლხინათ. ის აურაცხელი უზომო ტანჯვა-ვაება, რომელიც ჩვენთვის ისტორიას ურგუნებია, მათაც გადახთომიათ და ჩვენი საერთო ძვირფასი მამულის მრავალ მტერთაგან დაცვაში მათაც მონაწილეობა მიუღიათ სხვადასხვა გზით და საშუალებით, და თუ ჩვენი ერი დღემდის არ აღგვილა დედამიწის ზურგიდან და არც იმედი გაქრობია აღდგომის და აყვავებისა, ამაში რამდენიმე წილი ჩვენ მოძმე ებრაელებსაც უდევთ!

ქართველი მეფეები მათ მფარველობას უწევდ[...] ხალხიც ძმურათ და მეგობრულათ [...]ობოდა მათ და არ ახსოვს ისტორიას, [რ]ომ ებრაელებს ოდესმე განეცადოს ჩვენში მასიური დევნა და აწიოკება ქრისტიან ქართველთაგან, რასაც ხშირათ განიცდიდენ ებრაელები სხვა ქვეყნებში და განიცდიან დღესაც!

ასეთმა უკუღმართობამ რა თქმა უნდა ქართველ ქრისტიანთა და ქართველ ებრაელთ შორის რამდენათმე უნდობლობა და უკმაყოფილება ჩამოაგდო, და თუთხმეტი წლის წინათ პროვოკაციის საშუალებით ზოგნი კიდეც ეცადენ მოეხდინათ ამ ორ მოძმე ჯგუფთა შორის შეტაკება, მაგრამ, საბედნიეროთ, პროვოკაციამ სავსებით მიზანს ვერ მიაღწია და უაზრო და საშინელი სისხლის ღვრა ძმათა შორის აცილებულ იქნა!

თითქმის იგივე ითქმის საქართველოში მცხოვრებ სომხებზედაც. სომხების სამეფოს დამოუკიდებლობის დარღვევა დაიწყო მეთერთმეტე საუკუნეში და მას აქეთ დაიწყო სომხების საქართველოში შემოხიზვნა. და მალე მთელ საქართველოს მოეფინენ ისინი. მას აქეთ საქართველო დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა კიდე შვიდას-რვაასი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში ქართველთა და სომეხთ შორის ერთხელაც არ დარღვეულა კეთილგანწყობილება. არაოდეს საქართველოში მცხოვრებ სომხებს არ განუცდიათ ძალმომრეობა, არც სამშობლო ენის ხმარების მხრით, არც საკუთარ სარწმუნოების მხრით და არცა სხვა მოქალაქობრივ უფლებათა შეზღუდვის მხრით! პირიქით, ისინი სარგებლობდენ სრული თავისუფლებით და მათთვის დახშული არ იყო კარები არც სამეფო სასახლისაკენ, არც სამეფოს უმაღლესი თანამდებობისაგან.

საკმარისია მოვაგონოთ ძმანი მხარგძელნი (სომხები იყვენ), რომელნიც თამარისმიერ მხედართ მთავრებათ იყვენ დანიშნული და რომელთაც იმდენი სამსახური გაუწიეს საქართველოს ძლიერებას და დიდებას!

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ჩვენცა და სომხებიც ერთი მზრუნველის ხელში ჩავცვივდით, როცა წაგვერთვა უფლება ჩვენს საქმეებზე, ჩვენ ცხოვრებაზე ჩვენვე გვეზრუნა, მაშინ ჩამოვარდა ქართველთა და სომხთა შორის თითქო რაღაც უნდობლობა, მაგრამ ეს თავისდღეში არ მისულა ძალმომრეობამდის.

ასეთი იყო მრავალსაუკუნეთა განმავლობაში განწყობილება ქართველებისა საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებთან, განსაკუთრებით ქართველ ებრაელებთან და სომხებთან და დღემდის ეს კეთილი განწყობილება არ დარღვეულა და არცა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ შემდეგში დაირღვევა იგი, როგორც უნდა შეიცვალოს წესი საქართველოს მართვა-გამგეობისა.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში გაჩნდენ ჩვენში ცრუმეტყველნი და უმეცარნი, რომელნიც ებრაელთა და სომეხთა შორის ავრცელებენ ყალბ აზრებს, სთესენ მათ შორის შიშს და უნდობლობას ქრისტიან ქართველთა მიმართ. ისინი ეუბნებიან და არწმუნებენ მათ, რომ თუ საქართველოს ავტონომია მიენიჭა, ე. ი. თუ საქართველოს ხალხს უფლება მიენიჭა თავისი შინაური საქმეები თვითონვე განაგოს, თავისი გაჭირვება თვითონვე შეიგნოს და თვითონვე დასდვას მას წამალი, ერთი სიტყვით, თუ საქართველოს შინაური საქმეების მოწესრიგება საქართველოს ხალხსავე მიენდო, — სომხები და ებრაელები დაიღუპებით, ქართველები აგაწიოკებენ, დაგარბევენ და გადაგასახლებენო. ვინ არიან ეს ცრუმეტყველნი, რომელნიც ასე უგუნურათ იქცევიან და ძმურათ განწყობილ ჯგუფთა შორის მტრობასა და სიძულვილს სთესავენ?

ეს ის ცრუმოციქულნი არიან, რომელნიც წინათაც იჩენდენ თავს ყალბი ქადაგებით და შეუგნებელ ბრბოს თვალს უხვევდენ არწმუნებდენ, რომ ავტონომია ბატონყმობის აღდგენას მოასწავებსო! ეს ის ცრუმოციქულნი არიან, რომელნიც თავის-თავს ჭეშმარ[იტ]ი დემოკრატს უწოდებენ და ოლიგა[რქიი]ს მომხრენი არიან!

დემოკრატია—ხალხის ბატონობას ქვია ე. ი. ისეთ წესწყობილებას, სადაც ხალხი (დემოს) ფართე მონაწილეობას იღებს ქვეყნის მართვა გამგეობაში, —დემოკრატი კი—იმას ქვია, ვინც ასეთ წესწყობილებას უჭერს მხარს. №

# კ მ ა რ ა!

კმარა ამდენი სიბილწე!

სოციალისტური პარტია ვართო—გაიძახიან და ერთა შორის შუღლსა და მძულვარებას სთესენ! წაიკითხეთ „არჩევანის“ უკანასკნელი ნომერი! სომხებსა და ურიებს ეუბნებიან, ფედერალისტები „პოგრომს“ ქადაგობენ, გდევნიან, აგყრიან დაგარბევენო. „დოლსჩიკებათ“ მოგვნათლეს, „ოხრანაში“ ჩაგვწერეს და ახლა „პოგრომჩიკებსაც“ გვეძახიან! ეს არის მათი იარაღი ბრძოლის...

იმათ ხომ ქართველობისა არა სცხიათ რა და ჩვენზე, ქართველების შესახებ უქადაგებენ სომხებს და ურიებს—ერიდეთ მათ, ამოგჟლეტენო...

„სოციალისტები!“

ამას სწერენ სოციალისტური იდეის მქადაგებელნი, ერთა შორის ერთობის აღმსარებელნი. ვაშა! სოციალისტური პარტია „პოგრომებს“ ქადაგობს...

კმარა! ბოლო მოეღოს ამგვარ სირცხვილ წარეცხილობას, ამგვარ სიფლიდეს, სიბილწეს... ვაი, რომ ამისთანა ბრბოსთან ბრძოლა გვითება. ეს ბრძოლა შეურაცხგვყოფს ჩვენ იმდენათ, რამდენათაც ჩვენი მებრძოლნი ეს ცრუ-ყალბი სოციალისტები შეურაცხყოფენ ჭეშმარიტ სოციალდემოკრატიულ პარტიას. **დ.**

ყოველკვირეულ ჟურნალ „კლდეში“ (№ 5) ქვემოთმოყვანილი საგულისხმო წერილია, რომელიც სრულიად მოგვყავს.

# ვინ არ უნდა ავირჩიოთ?

### ყოფილი დეპუტატები გეგეჭკორი და ჩხეიძე.

დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულს ნუ გადააჩვევო, ამბობს ხალხური ანდაზა.. ძნელია, რასაკვირველია, დეპუტატის სავარძელს გამოეთხოვო, მაგრამ გარემოება ისე შეიცვალა, რომ შესაძლებელია, ამ ვაჟბატონებმა თავიანთი გუდა-ნაბადი აიკრიფონ და გზა სხვას დაუთმონ. მართალია, ამას ნება-ყოფლობით არ იზამენ, მართალია, ბევრ ოფლსა და მელანს დაღვრიან, ყოველნაირ საშვალებას მიმართავენ, რომ ლელო გაიტანონ, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ყველა მათ ნებაყოფლობაზე არა კიდია!

ზოგი რამ ხალხის ნებაცაა!

საკითხავია, რას წაგებს ეს ხალხი, გეგეჭკორი და ჩხეიძე რომ გააშავონ? გაშავება კი ორივეს აუცილებლათ მოელის. ყოველი დეპუტატი უნდა შეფასდეს, ჯერ როგორც ამა თუ იმ პარტიის წევრი, მერე როგორც პიროვნება. მაშ ვნახოთ რას წარმოადგენენ ამ მხრით გეგეჭკორი და ჩხეიძე?

თავის მიმართულებით ისინი არიან წევრნი რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიისა. ჯერ მარტო სახელწოდება ამ პარტიისა გვეუბნება, რომ ეს პარტია ქართული არ არის. ყოველი პარტია ეროვნული უნდა იყოს, თუ სურს სავსებით შეისწავლოს ის პირობები, რა პირობებშიც ხალხი ცხოვრობს, რომელსაც ემსახურება იგი. სოციალდემოკრატებს კი შესწავლილი არა აქვთ საქართველო. საქართველოს მრავალი საკითხი აწუხებს: ეროვნული, საეკლესიო, საგლეხო, საერობო, საშკოლო და კიდევ მრავალი სხვა. მაჯლაჯუნასავით დასწოლიან ქართველ ხალხს და მათი გამოურკვევლობა აჩერებს მის წინსვლას. გვიბძანონ სოციალდემოკრატებმა, აქვთ მათ შესწავლილი ეს საკითხები? უნახავს ვისმეს მათ ნაწერებში, მათ ჟურნალგაზეთებში, ამ საკითხებზე საუბარი? არა და ათასჯერ არა. და თუ პარტიას აქვს შესწავლილი ქვეყანა, რომლის მესვეურობასაც ის კისრულობს, რომელ ლოღიკის და ზნეობის ძალით აფარებს მას თავის კალთას? რომ მიდიან დეპუტატებათ, რა ცოდნის და ავლა-დიდების პატრონი მიდიან, რა საკითხები მიაქვთ თან გადასაწყვეტათ? იშტა კი დიდი აქვთ დეპუტატობისა!..

განუწყვეტელი კავშირი ცხოვრებასთან, ხალხთან, მის საკითხებთან, აი, რა ახასიათებს თანამედროვე პარლამენტარიზმს. მერე ეისოჩა აქვთ კავშირი სოციალდემოკრატ დეპუტატებს? ხალხთან? არა, რადგან არც ეროვნული, არც საეკლესიო, არც საგლეხო, არც საშკოლო საკითხები, რომლებიც იმავ დროს ხალხური საკითხებია, მათ არ აკავშირებს ინტელიგენციასთან, რადგან ინტელიგენციას ისინი გაურბიან. ინტელიგენცია ჩვენში ეროვნულია, გამსჭვალული ხალხის ნამდვილი ინტერესებით, ქართული ინტერესებით, სოციალდემოკრატებს კი სძულთ ყოველი ქართული ინტერესი. ისინი ემყარებიან მარტო თავიანთ პარტიულ „ამხანაგებს“, ეს არის მთელი მათი ძალა, მთელი მათი კავშირი „ხალხთან“. აი, მათი პარლამენტარიზმი, აი, მათი ხალხური წარმომადგენლობა!!

დეპუტატს მუდამ ესაჭიროება დახმარება. მას გვერდში მთელი ხალხი უნდა ედგას. საუკეთესო ძალები ხალხისა, ხალხის მცოდნე და ნასწავლი წევრები მუდამ ახალ ცოდნას, ახალ დაკვირვებას და ახალ გამოკვლევას უნდა აწვდიდენ მას ქვეყნის შესახებ. ჩვენში კი ეს არა ხდება. გეგეჭკორი და ჩხეიძე დაბძანდენ ტავრიდის სასახლეში და ხალხთან კი ყოველი კავშირი მოსპეს. ან რათ უნდოდათ ეს კავშირი საქართველოსთან, როცა ქართულ ინტერესებს არ იცავდენ. მაშასადამე, როგორც დეპუტატები ისინი მოღალატენი არიან პარლამენტარიზმის პრინციპისა, როგორც პარტიის წევრები ისინი არ ეკუთნიან ქართულ პარტიას!

განვიხილოთ, ახლა, რას წარმოადგენენ ისინი, როგორც პიროვნებანი. დეპუტატობა ადვილი საქმე არ არის. საჭიროა დიდი ცოდნა, დიდი გამოცდილება, დიდი დაკვირვების ნიჭი, თავისუფალი აზროვნება, დამოუკიდებელი მოქმედება და გამჭრიახობა. თუ ყველა ეს არა აქვს დეპუტატს, და პარლამენტში მიდის, მაშინ იგი ცუღლუტია, მატყუარაა, ის თფილი ადგილისთვის მიდის იქ. ამ მხრით გეგეჭკორი და ჩხეიძე „უკაცრაულ მოხსენებას“ წარმოადგენენ. ახლა, ხუთი წლის შემდეგ, როცა მათ გაიბეჯითეს დაწერილის ზეპირათ თქმა, რასაკვირველია, „დიდათ მომზადებული და დიდათ მცოდნე“ დეპუტატები არიან, თითქმის მათ აღარავინ სჯობს, თითქოს საქართველოს მზე და მთვარენი ესენი იყვენ, მაგრამ ვინ არ იცნობს მათ. ჩხეიძე ახლა გახდა დიდ მცოდნე და მომზადებულ დეპუტატათ და ამ გულმავიწყა კლაკიორებს დაავიწყდათ, რომ ოდესღაც თვითონვე დასცინოდენ მას: „ჩხეიძემ თავისი სიცოცხლე კარლ მარქსის „კაპიტალის“ შესწავლას მოანდომა და სიტყვა „კარლის“ მეტი ვერაფერი შეითვისაო!

მარტო ერთი გეგეჭკორი ღირს იმათ, რომ საქართველომ თავის ბედს შეხედოს და მწარეთ ჩაიცინოს! ფრანგ მინისტრ ბრიანზე ამბობენ, პარიზში რომ მოვიდა, ფრაკის მეტი არა ებადარაო. გეგეჭკორი ბრიანზე ბედნიერია, თუ კი მან უფრაკოთაც მიაწია დეპუტატობას! უნივერსიტეტიდან პირდაპირ პარლამენტში შებძანება, როცა საქართველოში მას ერთი ძე ხორციელი არ იცნობდა,—ეს ისეთი თვალწარმტაცი კარიერა არის ახალგაზდა ადამიანისათვის, რომ იგი რომელსამე უწყებაში პროტექციით გამწესებას უფრო გავს, ვიდრე ხალხისაგან დეპუტატათ არჩევას. მაგრამ მაშინ არც ცოდნაზე ლაპარაკობდენ, არც „ნამსახურებით ფურცლებზე“! ახლა კი ყურებს გვიჭედავენ, ქვეყანას აწუხებენ, ქვეყანას ედრიჯებიან, ხელს უწევენ—ჩვენ გაგვიყვანეთ, ჩვენ ამოგვირჩიეთო. რათა, რისთვის, რა გაუკეთეთ საქართველოს? რაც გეგეჭკორი და ჩხეიძე სათათბიროში იყვენ— ტავრიდის სასახლეში სიტყვა „ქართველი“ არ დაძრულა. რათ ერიდებიან ისინი ამ სიტყვას? საქართველო განა ანონიმური ქვეყანა არის, რომ მისი დეპუტატები მარტო ნაცვალ-სახელობით ლაპარაკობდენ?

ჩხეიძემაც და გეგეჭკორმაც უღალატეს თავის ხალხს, უღალატეს მის მისწრაფებას. უღალატეს თვით პარლამენტარიზმის პრინციპს, როცა ხალხიდან დეპუტატებათ გავიდენ და ნამდვილათ კი ქართველი ხილხისათვის ცარიელი

სიტყვაც არ გაიმეტეს. მათ დაიმსახურეს, რომ ქართველმა ხალხმა მომავალ არჩევნებში თავისი ზიზღი გამოუცხადოს ამათ პარტიას და მისი მისწრაფების გამომსახველთ. და ამის დასამტკიცებლათ ყველა ამომრჩევლის უწმინდეს მოვალეობას შეადგენს შავი კენჭი მისცეს.

## ძალა ერთობაშია.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველ ერს თავისი მიწა-წყალი შეუნარჩუნებია ხმლითა და ჯვრით და დღეს-კი ნაძირალების წყალობით ლამის ბოგანა შეიქნეს.

სოციალდემოკრატების ბელადები სათათბიროში ქართველი ერის ინტერესებს კი არ იცვენ, ისინი არიან რუსეთის პროლეტარიატის, ესე იგი უმიწა-წყლო ქარხნის მუშების ინტერესების დამცველნი და მათ პროგრამას ვერ გადააბიჯებენ. მათი პროგრამა კი ქართველი ერისთვის გამოსადეგი არ არის. სოციალდემოკრატები იმას შეტრფიან, თუ გლეხობა როდის გახდება უმიწა-წყლო, ბოგანო, რომ გამრავლდეს პროლეტარიატი.

სოციალ-დემოკრატებმა ქართველ ერში დასთესეს მძულვარება ძმათა შორის, ისინი თავის ძმებსვე ებრძვიან.

ამის დასამტკიცებლათ ბევრ მაგალითს მოვიყვანდი, ახლა რომ იმისთანა დრო იყოს და ყველაფრის თქმა შეიძლებოდეს.

სოციალდემოკრატები მოურიდებელი არიან, წინა კარიდან რომ გააგდო, უკანა კარიდან შემოგეპრებიან. ხალხს აშინებენ, ტუქსავენ, ზოგს ნოქარს თავისი ალა მიყავს და ბრმასავით სოციალ-დემოკრატების ბელადისთვის აძლევინებს ხმას.

კარგათ ჩაუკვირდით, თუ რას მოასწავებს სომეხთა ბურჟუაზიამ რომ მხარი დაუჭირა სოციალდემოკრატებს.

ეს იმას მოასწავებს, რომ მათ უნდათ, ქართველი ერის ხსენებაც კი გაქრეს დედამიწის ზურგიდან. ჩემი ფიქრით, ყოველი ქართველი ეროვნულ დემოკრატიულ დასს უნდა მიეკედლოს.

**მოწყალე.**

## პასუხათ ბ. ამრჩეველს.

„არჩევნის" სხვადასხვა ნუმრებში არა ერთჯერ იყო მოთავსებული ბატონი „ამომრჩევლის" წერილები ჩემდამი მოძღვნილი მრავალგვარის ცილისწამებითა და ქუჩური ლანძღვა-გინებით აჭრელებული. როგორც ეტყობა მის ნაწერებს, ბ. ამომრჩეველი ნიჭით სავსე და ზნეობით სწორი და პოლიტიკური ვინმე მოღვაწე უნდა ბძანდებოდეს; არა თუ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ისეც ჩემს ყურს და, მე მგონია, არც ერთი მკითხველის ყურს არ სმენია ისეთი ქუჩური ლანძღვა-გინება, როგორიც მისი უკვდავ ნაწერებში იყო მოთავსებული, მაგრამ ან კი რა უნდა ექმნა. რაკი ეტყობა—პრინციპის ვინმე ბძანდება, ვერ უღალატია ქართული ანდაზასთვის: „კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმოდინდების".

მკითხველი საზოგადოება რომ შეცთომაში არ შეიყვანოს მისმა ნაწერებმა, მინდა მოკლეთ გავაცნო იმ არჩევნების შედეგი, სადაც თავჯდომარეობდი.

პირველ ყოვლისა ბ. ამრჩეველი მეკითხება: „თ-დი ბიორგი ჩიჩუა, რატომ დაუშვით არჩევნებში, როდესაც მას კანონით არ ქონდა უფლება მონაწილეობის მიღების?" პასუხი: ეს იმიტომ მოხთა, რომ თ-დი ჩიჩუა შეტანილი იყო საარჩევნო სიაში და მე არავითარი უფლება არ მქონდა სიიდან გამომერიცხა, სანამ ამ საკითხს სამაზრო კომისია განიხილავდა.

„რატომ მოხთა ის, რომ რიცხვი ამრჩევლებისა ნაკლები იყო, ვიდრე რიცხვი კენჭებისაო?" პასუხი: მართალია, ორი რწმუნებულის ყუთში რიცხვი კენჭისა მეტი აღმოჩნდა, ვიდრე რიცხვი ამრჩეველთა, რაც მე კიდეც აღვნიშნე ოქმში და რამდენათაც ეს კანონიერი იყო ეს სრულებით ჩემი საქმე არ იყო, არამედ სამაზრო კომისიის გარჩევას ეკუთვნოდა.— და ყოველშემთხვევაში ეს უთუოდ იმიტომ მოხთა, რომ ვინმე ამრჩეველთაგანმა ერთ ყუთში სულ არ ჩააგდო კენჭი, (იყო იმისთანა ყუთი, სადაც კენჭი ნაკლები იყო, ვიდრე ამრჩეველთა რიცხვი), და მეორეში კი ორჯერ ჩააგდო.

ბ. ამრჩეველს უკვირს,—„რატომ მოხთა ის, რომ ოთხი კაცი გვარათ ჯაიანები არ შეუშვეს კრებაზეო.—ეს იმიტომ მოხთა, რომ საარჩევნო სიაში იყო შეტანილი ჯალიანები და არა ჯაიანები და თვით იმ პირებმაც პირადათ გამიცხადეს, რომ ისინი არიან ჯაიანები და არა ჯალიანები, მეც უფლება არ მქონდა სია გამესწორებია.

ბ. ამრჩეველი სწერს: „აქტი, რომელიც უნდა შემდგარიყო 7 ოკტომბერს თავჯდომარემ შეადგინა 8 ოკტომბერს და რიცხვი კი 7 ოკტომბრის დაუსვაო". ამის პასუხი ეს გახლავთ: აქტი რომ 7 ოკტომბერს არ შემდგარიყო და არ გამორკვეულიყო, თუ საერთოდ რამდენი ჯამის გადამხდელი პირი გამოცხადდა კრებაზე და რამდენი რწმუნებულის არჩევის უფლება ქონდა კრებას, უამისოთ კენჭის ყრა შეიძლებოდა? რაც შეეხება აქტის გაფორმებას და ხელის მოწერას ეს 8 ოკტომბერს მოხთა, რაც აღვიარე და წერილობითაც ვამცნე სამაზრო კომისიას. აი, ეს გახლავთ თქვენი შეხედულობით „პადლოგი". რაც შეეხება ამრჩევლის ათასნაირ ხრიკებსა და ცილისწამებას, რომ ვითომ მე შემწეობას ვაძლევდი ფედერალისტებს და მონაწილეობას ვღებულობდი ყუთების წაქცევაში და სხვა ეს ყველაფერი სიყალბეზე აგებული ცილისწამებაა. ჩემი უფლება და მოვალეობა კარგათ მესმის, და, როგორც სრულიად უპარტიო კაცი, სინიდისიანათ და პირნათლად ვასრულებდი მათ.

დასასრულ ვიტყვი, შეიძლება მეც ვიცოდე, მოგონილი და მოჩმახული კი არა, ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყალბე და უკანონო მოქმედება ამა თუ იმ პირების, მაგრამ გაჩერებული ვარ, მაბეზღრობას არ ვეწევი და ბ. ამრჩეველსაც ვურჩევ ამ მაგალითით ისარგებლოს, თუ სურს მას პარტიის კაცობა, თვარა ამგვარის ლანძღვა-გინებით და ცილისწამებით ფონს ვერ გავა.

სენაკის მაზრის საარჩევნო კრების თავჯდომარე **ირაკლი თოფურიძე.**

## ქალთა წრე.

12 ოკტომბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში, შესდგა ქალთა წრის კრება, სადაც ბ. სიმონ ქვარიანმა გამართა საუბარი საქართველოს ისტორიიდან. ის შეეხო უძველეს დროს - ქართველი ერის, წარმოშობა მომდინარეობას, შეეხო ქართველთა ტომებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხეთებს და ნაირებს; ისინი ქართველ წინაპართა მონათესავე ტომები არიანო; ამის დასამტკიცებლათ რამდენიმე ფაქტი მოიყვანა. ეს ორი ტომი შესანიშნავი იყო ძველათ; ისინი ცხოვრობდენ სირიასა და მცირე აზიაში. კულტურითა და ცივილიზაციით ბევრი შესძინეს მსოფლიო ისტორიას. ელინთა კულტურა ცივილიზაციის მშობელი ხეთები იყვენო; ამ ერმა ელინეს უძღვნა შესანიშნავი ხუროთ-მოძღვრება და ქანდაკება, რომელიც შემდეგ საბერძნეთში უმწვერვალესამდი განვითარდა. ინგლისის გამოჩენილი მეცნიერების რ. ანდერსონის აზრით ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეთების, იგივე გიტების ცივილიზაცია არის.

ასეთივე აზრის არიან ხეთების კულტურის შესახებ სხვა შესანიშნავი მეცნიერნი, როგორც მაგალითად: ფრ. ლენორმანი, მასპერო და სხვები. აი, ასეთ ერს სთვლის მეცნიერების უმრავლესობა ქართველთა წინაპრათ; ზოგიერთი მათგანი (ლენორმანი, ბომელი, და სხვა) კი გადაჭრით ლაპარაკობს ხეთები და ნაირები ქართველ ტომთა მონათესავე ტომები იყვენო.

საუბარი მარტივი და ყველასათვის გასაგები იყო. ქალები ყურადღებით უსმენდენ მოსაუბრეს. ბოლოს კამათი არ გაიმართა. ჩვენი ქალები მოისუსტებენ არა თუ ძველი, უახლესი ისტორიის ცოდნაშიც.

ჩვენ ისიც გადმოგვცეს, რომ ამ ქალთა წრეში გამოჩენილან ისეთი პირები, რომელნიც უარყოფენ სამშობლოს, სამშობლო ენას, სამშობლო ისტორიასა და ლიტერატურას.

ვისაც თავის სამშობლო, თავისი ერი არ უყვარს იმისი გრძნობა ჩლუნგია. იგი კაცობრიობას ვერ შეიყვარებს და თუ გაიძახის კაცობრიობა მიყვარს და ვეთაყვანებიო, ეგ მეტიჩრობა იქნება, ფეხის ხმის აყოლა. ვის[ა]ც [თავ]ისი ერი უყვარს იმას კაცობრიობაც [უყვ]არს, რადგან ერი კაცობრიობის ნა[წილ]ია. ერის უარყოფაა; კაცობრიობის უარყოფაა რომელიმე ერის ისტორიის უარყოფა მთელი ისტორიის უარყოფაა, მთელი ისტორია კი მეცნიერებაა. რა გამოვიდა ბოლოს?! არ გიყვარს ერი, არ გიყვარს კაცობრიობა არ გიყვარს ერის ისტორია არ გიყვარს აგრეთვე ისტორია—მეცნიერება.

გამოჩენილი მწერალი ნორდაუ ამბობს: „სამშობლოს უარყოფა და მის მაგივრათ კაცობრიობის ლოცვა და დიდება უსაფუძლო, რადგან სიტყვა კაცობრიობა ჯერ-ჯერობით კაცობრიობისთვისაც ცარიელი სიტყვაა.

**სერგო გერსამია.**

## აღმოსავლეთის ძველი ლეგენდა.

(ნასესხი).

### ვუძღვნი ქუთათურ მეგობარს.

ერთხელ ბოროტმა ძალამ- მოისურვა გამოცდა ქვეყნის მხსნელ წინასწარმეტყველისა: ის იქცა ბერათ და დაედევნა მტრედს ვითომც დასაჭერათ. მტრედმა თავი შეაფარა წინასწარმეტყველის კალთას. წინასწარმეტყველმა მოიწადინა მტაცებლისაგან მტრედის დაფარვა, მაგრამ ძერამ შენიშნა:—რა უფლებით მოისპობ ცხოვრების სახსარს? ჩვენგან ერთ-ერთი უნდა მოკვდეს:—ან ეს მტრედი ჩემი კლანჭებიდან, ან კიდევ მე- შიმშილით. ჩემთვისაც ხომ მოუნიჭებია ზენას უფლება არსებობისა და რატომ შენ მტრედი გებრალება და არა მე? თუ ასეთი მოწყალე ხარ და გინდა ჩვენგანი არავინ დაიღუპოს, გამოიჭერი ჩემ საზდოთ შენი სხეულიდან ხორცი მტრედის თანაბარი წონისა.

მოატანიეს სასწორი, რომლის ერთ თევშზე მტრედი დასვეს. წინასწარმეტყველმა გამოიჭრა ხორცი თავის სხეულიდან და დასდო სასწორის მეორე თევშზე მაგრამ მტრედის თევში ვერც კი დასძრა. მან კიდევ რამდენჯერმე გამოიჭრა ხორცი დასამატებლათ; ტანი მთლად დაიკუწა, სისხლიდან იცლებოდა, ცარიელი ძვლები-ღა მოსჩანდა იმის სხეულისაგან, მაგრამ მაინც მტრედის მხარე ვერ დასძლია. ბოლოს წინასწარმეტყველმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიხმარა, მიუახლოვდა სასწორს და თვით დაედო მცირე თეფშს და მხოლოდ მაშინ გადმოხარა სასწორი თავისკენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ თუ გინდათ საზოგადოთ ვისმეს დახსნა, განთავისუფლება ამისთვის უნდა მიუძღვნათ არა ნაწილი თქვენი ყოფისა, არამედ მთელი არსებით უნდა შეეწიროთ მას...

**გ. ა—ციხელი.**

## დეპეშები.

### ომი ბალკანეთზე.

(პეტ. დეპ. სააგენტო)

**ბუქარესტი.** ახალი კაბინეტი კონსერვატორებისა და დემოკრატებისაგან შედგა. თავჯდომარეთ მაიერესკუ აირჩიეს.

**პარიზი.** პარლამენტი 23 ოკტომბრისთვის არის მოწვეული.

**ვენა.** გაზეთმა „ცაიტუნგ"-მა ბერლინიდან მოსული ხმები გამოაქვეყნა: აზრი, ბალკანეთის საქმეების მოსაწესრიგებელ კონგრესის მოწვევაზე, ნაადრევია და გერმანია ამაზე არ დათანახმდებაო.

**პრაგა.** ჩეხებში ბალკანეთის სამეფოებისთვის დახმარებამ საერო ხასიათი მიიღო.

**სტამბოლი.** ბარონზონის უფროსმა გამოაცხადა, გაძლიერებული წესის გამოცხადების გამო, ქუჩაში გამოსვლა ათ საათს შემდეგ აკრძალულიაო.

**ათინა.** დიდი-ბრიტანიის ქვრივმა დედოფალმა ელინთა მეფეს გამარჯვება მიულოცა დეპეშით.

**ვრანია.** შიკვოვიჩის ჯარმა პრეპოლიე აიღო. სანჯაყში ერთი გამაგრებული ადგილი პლევე-ღა დარჩა. მთელი ოზრეპოლე მეორე ჯარის ხელშია. იშტიბი აიღეს.

**ათინა.** მეფეს კოჟანში აფრთოვანებით შეხვდენ. შვეიცარელი წითელი ჯვრის რაზმი მოვიდა. ბაბა-ესკის მახლობლათ ბულგარლებმა სტამ[ბოლ]იდან მომავალი ფქვილით დატვირ[თული] 14 ვაგონიანი მატარებელი ოსმალებს. წაართვეს ბულგარეთის ჯარი ბურგასის მინდორზე მიდის. ოსმალებმა იშტიბ-კეგრული აიღეს!

**სტამბოლი.** ოფიციალურათ იუწყებიან, ოსმალებმა საბერძნეთის ჯარი დაამარცხაო.

**სერვია.** ადრიანოპოლიდან იუწყებიან: აქ ოსმალების ბრწყინვალე გამარჯვებას ელიანო.

**ბელგრადი.** სერბიის არტილერიამ კუმანოს ბრძოლით დაამტკიცა, რომ ის ევროპის პირველ-ხარისხოვან არტილერიას არ ჩამოუვარდება. მემკვიდრე ალექსანდრემ თავისი გმირობით ჯარისკაცები გააკვირვა, როცა კუმანოვოში გაცხარებული ბრძოლის დროს შევიდა.

ქნ. ელენე პეტრეს ასული დაიარება ბელგრადის საავათმყოფოებში, სადაც 2000 დაჭრილია მოთავსებული.

**პოდგორიცა.** მეფის შვილის რაზმმა მკაცრი ბრძოლას შემდეგ არნივის სიმაღლეები დაიკავა. მდინარე კირიზე ოსმალებმა ხიდი ჩალეწეს. ჩერნოგორელებმა ორ ადგილს ხიდები გადვეს და გავიდენ.

**სოფია.** ბულგარლებმა მდ. სტრუმის ნაპირზე კრესნენის ხევი დაიკავეს.

**ტრიპოლტამისი.** ოსმალებმა უკან დაიხიეს. ბერძნები მისდევენ.

**სოფია.** ფრანგთა წითელი ჯვრის რაზმი მოვიდა გრაფის კასლელანის მეთაურობით. რაზმში ორი ექიმი და ორი დასტაქარია.

**სტამბოლი.** გენერლები აზიაში და მაჰმუდ-მუხტარი სტამბოლში მიიწვიეს და სამხედრო სამართალში მისცეს. დამარცხება ისე დიდია, რომ 12-13 ოკტომბერს მინისტრთა, მაღალ ხარისხოვან პირთა და სღვდელოების საბჭომ ერთ ხმათ დაადგინა, თუ შესაძლებელი იქნება მოვუწოდოთ დიდს სახელმწიფოებს და ვთხოვოთ ჩვენს საქმეში ჩაერიონო. კაბინეტის გამოცვლას ელიან. „ერთობა და პროგრესი" კლუბმა დაადგინა: მოსთხოვონ მთავრობას ომის გაგძელება და დიკტატურა ჩვენს ყოფილ მინისტრს მაჰმუდ-შევკეტს ჩავაბაროთო.

სამხედრო მთავრობა უკანასკნელ საშვალებას ხმარობს. საჩქაროთ გადმოყავთ ჯარი ტრიპოლისიდან.

**ალეპო.** ადრიანოპოლში ჯარი შიმშილს განიცთის.

**მუსტაფა-ფაშა.** სურსათის საწყობები ბულგარლებს დარჩათ.

სამხედრო კორესპოდენტები ჩორლუში იმყოფებიან. ხმებია—ნაზიმ-ფაშამ უკან დახევა შეაჩერაო, ჯარები გაამაგრა და მოაწესრიგაო. ახალი პოზიციის ცენტრი ბასისშია. ქალაქში დიდი მღელვარებაა იმ ხმების გამო, რომ არაბეთის მთავრობა შეიხმა, რომელიც აფრიკის პროვინციების მფარველია, თავი ხალიფათ გამოაცხადაო.

### რ უ ს ე თ ი.

**პოლტავა.** ახლად ნაშენები თეატრის კედელი წაიქცა. 3 მუშა მოკლა 1 დაშავა.

**ცარიცინი.** მდინარე ვოლგაზე ყინვისაგან დაზიანებული ხოლერი ფარდული ჩაიძირა.

**ოდესა.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ დაიწყო 18 ინტენდანტის საქმის გარჩევა, რომელთაც როგორც გარინის რევიზიამ აღმოაჩინა, მექრთამეობა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა ბრალდებათ.

## ომის ამბავი.

„რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტი ბრძოლის ველიდან სწერს: ბრძოლის გამოცხადების წინათ, არავის არ ეგონა თუ ომი მოხთებოდა. ბევრი ფიქრობდა— სერბია და ბულგარეთი ევროპის შიშით ომს ვერ გამოაცხადებენო.

შეიძლება მთავრობას მართლაც ვერ გამოეცხადებია ომი, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ხალხმა გადაწყვიტა. ვერავითარი ძალა, ხალხს ვერ დააცხრობდა და მთავრობაც ტყუილათ შეიწუხებდა თავს, რომ წინააღმდეგ ხალხის სურვილისა მოქცეულიყო. სერბიელები და ბულგარლები 30 წელიწადია ოსმალთაგან დაპირებულ რეფორმების განხორციელების მოლოდინში არიან.

საშინელებაა ომი, უაზრობაა, მაგრამ რა უნდა ქნა იქ, სადაც ყოველგვარი უფლება ჯალათების ხელშია და სადაც სხვერპლს მხეცის ბჭყალებში [მომწყვდე]ულს ხმის ამოღებაც კი არ შეუძლია.

ნურავინ შეგვიშლის ხელს და ჩვენ ჩვენს მძიმე საქმეს [...] ლაპარაკობს, როგორც [...] ნაციონ[...] ხენე.

სერბიელმა რადიკალებმა და ბულგარელ პროგრესისტებმა ერთნაირი ტანისამოსი მოისხეს. აღსანიშნავია, რომ მადიარები, ეს დაუძინებელი მტრები ბულგარელ სერბიელებისა, დღეს დიდ დახმარებას უწევენ ამათ.

ომი კიდევ არ იყო დაწყებული, რომ ბუდაპეშტში ყველაფერი გაძვირდა. ნამეტურ ძნელათ იშოვიდი იქ ცხენსა და იარაღს. ბუდაპეშტში ცხენები სერბიელებმა იყიდეს, ახლა რუმინიაშიც ყიდულობენ... ერთ ებრაელს შევხვდი, რომელმაც თავისი ორი შვილი საზღვარგარეთ მოსწავლე მოიხმო. მან მითხრა—სერბიამ ჩვენ ყველაფერი მოგვცა და ახლა ჩვენც სამაგიერო პატივისცემა უნდა გადავუხადოთ. შეიძლება ომში მოკლან, მაგრამ, რა ვუყოთ, ებრაელის დედა პირველათ არ იქნება, რომ თავის შვილს იტირებს. სლავიანების მოძულე ერთმა ჟურნალისტმა მითხრა—რუსეთს შეუძლია იამაყოს თავის ქალიშვილებით, ბულგარეთით და სერბიით. ბალკანეთის სლავიანები, ერთხელაც იქნება, შეიგნებენ და დამოუკიდებელ ავტონომიით ჩვენ, ავსტრო-უნგრეთს შემოგვიერთდებიან. ჩვენ მათ გავუხსნით გზას სიმდიდრისაკენ და მაშინ შევიძლიათ დაარქვათ მათ ბალკანეთის შეერთებული შტატები.

დღეს ბელგრადი უდაბნოს წარმოადგენს. ქუჩებზე ვერავის შეხვდებით. თუ შეხვდები ისევ სოფლელებისაგან შემდგარი რაზმებია, რომელნიც იარაღის ხმარებაში იწვრთნებიან.

### ქიამილ-ფაშის აზრი ბალკანეთის ომის შესახებ.

ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ქიამილ-ფაშამ ინგ. გაზეთის „დაილი მეილ"-ის კორესპონდენტთან ბაასში განაცხადა, რომ ოსმალეთი იტალიასთან ომში ეგვიპტის ნეიტრალიტეტის გამო დამარცხდაო.

ოსმალეთს რომ ეგვიპტით ბრძოლის ველზე თავის ჯარების გადაყვანა შეიძლებოდა, ჩვენ იტალიას დავამარცხებდითო. მშვიდობიანობის დამყარება იტალიასთან ძალიან გვიან მოხთა. ასე რომ ამ მშვიდობიანობას ბალკანეთის საკითხში ოსმალეთისათვის არარაფერი სარგებლობა არ მოაქვს. რამდენიმე კვირის წინათ ხმელთა-შუა ზღვაზე რომ იტალიის ფლოტი არ ყოფილიყო, ჩვენ სირიიდან და სმირნიდან ჯარებს გადავიყვანდით. ახლა კი მშვიდობიანობის დამყარებას შემდეგ იტალიის ფლოტის ადგილი საბერძნეთის ფლოტმა დაიჭირა. ამ ახალ ომში სისხლის ღვრა უსარგებლოა. თუ ოსმალეთმა გაიმარჯვა, მარტო ავსტრია ისარგებლებს, და თუ ბალკანეთის სახელმწიფოებმა გაიმარჯვეს, ამ გამარჯვებიდან სარგებლობას რუსეთი ნახავს.

ამ საქმეში ინგლისს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ძალიან ძნელიც რომ იყოს მისთვის ამ საქმეში ჩარევა, მაინც უნდა ჩაერიოს და ამ უსარგებლო სისხლის ღვრას ბოლო მოუღოს; ამით იგი თავის ინტერესებსაც დაიცავს. ინგლისს, როგორც ერთხელ მოიქცა, ახლაც უნდა შეეყენებია საბერძნეთი და ბალკანეთის ომში ჩარევის ნება არ მიეცა. კავშირი საბერძნეთსა და ბულგარეთის შორის უაზრო და არა ბუნებრივია.

იტალიასთან ომს შემდეგ, ოსმალეთი მაკედონიაში რადიკალურ რეფორმებს მოახთენდა, მაგრამ გამწვავებულმა კატასტროფამ, რასაკვირველია, ყველა ეს პროექტი ჩაშალა.

კორესპონდენტის შეკითხვაზე,—სანჯაყის ნოვობაზარის ავსტრია—უნგრეთის მიერ შესაძლებელ ოკუპაციის რა აზრისაა ოსმალეთიო,—ქიამილ-ფაშამ უპასუხა,— ეს ოსმალეთს ძალიან უშველიდა, რადგან სერბიელებს და ჩერნოგორელებს ერთმანეთს გააშორებდა, მაგრამ ოსმალეთი ოფიციალურათ ამის თანახმა არაოდეს არ გახთებოდა.

## ც უ რ ი ა.

**დ. ჩოხატაური.** ეს დაბა ამ უკანასკნელ დროს ძლიერ დაეწაფა კულტურულ დაწესებულებებს: არსდება ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელ. საზოგადოების განყოფილება, არის სამკითხველო, დამთავრდა ახალი თეატრის შენობა. მაგრამ სიღარი

## ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ[უთაი]სში ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული; საუცხოო ბრონ[ზის და] მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ჰიჰა ემალ გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და ვერცხლის ქვაბები, ყავადნები, სარძევეები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და [illegible] ვერცხლნარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. ქაღალდის და სპილოს ძვლის [illegible] ფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და [illegible] ლება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდე თოფი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

სავაჭრო სახლი **ზ. გოკიელის შ[ვილ]-ებ[ი]** სავაჭრო სახლი

# აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით **ფასები დაუკლო.** ეს ფასეი, რომელიც ხელმისაწდომ ია და იაფია, კარგათ იცის ქუთაისს საზოგადოებამ.


ზე ყოველგან თავს იჩენს. მაგალითად სცენას არა აქვს დეკორაცია. ამას წინათ იყო მოლაპარაკება ქუთაისის ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობასთან, რათა ხელმისაწდომ ფასათ დაუთმოს ამ პროვინციის თეატრს მათთვის უვარგისი დეკორაციები. კარგი იქნება—გამგეობა ხელს შეუწყობდეს ამ ღარიბ თეატრს და თუ უფასოთ არა, ხელმისაწდომ ფასათ მაინც დაუთმობდეს ძველს დეკორაციებს. უკვე შედგა სცენის მოყვარეთა წრე, აირჩიეს გამგეობის წევრები. ერთიც დიდი დაბრკოლება წინ ელობება იქ წარმოდგენის გამართვას. წარმოდგენის დადგმის უფლება აქვთ მხოლოდ მათ, ვისაც აქვს მსახიობის მოწმობა. პროფესიონალი მსახიობი ახლო მახლო არავინაა და ქუთათურები კი 20—30 მანეთ ნაკლებ არ მოდიან, ასე რომ მთელი შემოსავალი მიაქვს მსახიობს.

ამ დღეებში აქაურ სამკითხველოს გადაიტანენ ახალ შენობაში. სამკითხველოს შევსება სჭირია ჩვენი მწერლების წიგნებით. დღევანდლამდი იქ არ იყო ხელის მოწერა ახალ წიგნებზე. დღეს კი ზ. თავდგირიძის დახმარებით აქ გაიმართა ასეთი ხელის მოწერა. გაზ. „იმერეთი" 30 ცალამდი საღდება ყოველ დღიურათ. სხვა გაზეთი გასაყიდათ არ მოდის.

ბოქაულის თანაშემწე ზ. ბაბუნია გადაიყვანეს აქიდან, მის ადგილას დაინიშნა ლორთქიფანიძე.

ამ დღეებში ჩოხატაურის ხიდიდან ღამით გადავარდა კაცი და დასახიჩრდა. ხიდები ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია.

ამ დღეებში აქაურ ბოქაულმა, მისმა თანაშემწემ და ორმოცამდი დარაჯმა სოფ. ფარცხმაში ღამით ერთი მოსახლე გაჩხრიკეს; იქ ეგულებოდათ ყაჩაღი ფ. ბერძენიშვილი, მაგრამ იქ ველარ შეისწრეს. მეორე დღეს ბოქაულმა შეკრიბა საზოგადოება და გამოუცხადა, თუ ამ ყაჩაღს არ გასცემენ და არ მოუყვანენ, იმ შემთხვევაში სოფელს მთავრობის მამასახლისს და დარაჯებს ჩაუყენებს...

ი. უ—ი.


რედაქტორ-გამომცემელი
ზ. ე. ჭელიძე.



სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი.

## „განათლება"

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი **„განათლება"** გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურ სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამათ **„განათლება"** ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვადასხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

**ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.**

ჟურნალი **„განათლება"** შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწდომი, ხელის მომწერთათვის წლიურათ ღირს **სამი მანეთი და ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** (2 მან.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაუთმობათ **ორ მანეთად და ათ შაურათ** (2 მ. 50 კ.); საზღვარ-გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი

**რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.**

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის" რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთების კანტორა „იმერეთი" ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი", ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნუმრებიც.

**1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება**

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლათ.

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მეტერსი.

## ნ. ს. ტმრპი.

ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა.

სპეციალისტური სავაჭრო

**ნავთის—კალინო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათა და ადვილათ მოსავლელი.**

ნავთისავე მრავალი ღუმელი, სამზარეულო, სათბური და პრიმუსები.

**ფასები ძლიერ დაწეულია.**

მოითხოვეთ პრეისკურანტები.



ფეჩი.

ქუთაისში ასეთი ფარნები არის 160.

## ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით მეორე

საბუღალტრო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

კურსებზე სწავლა დაიწყება ამა წლის 15 ენკენისთვიდან და გაგრძელდება ათ თვეს. სავალდებულო საგნებია: 1. ბუღალტერია (უბრალო. იტალიური, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო) 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია 4. კანონები სავაჭრო უფლება საკუთრება ესდევა 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება).

**მსურველთათვის კურსებზე შემოღებული იქნება უცხო ენები. (ფრანგული, გერმანული და ინგლისური).**

კურსებზე მიიღება როგორც ვაჟები, ისე ქალები ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო, თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსის დასრულებას შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი

## სწავლის ფული ასი მანეთი.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში ყოველდღე დილის 10-დან—12 საათამდი და საღამოს 5-ან—7 საათამდი. (თფილისის ქუჩა № 12).

კურსების გამგე [...] გ. გიგინეიშვილი.

დ. აბაშაში გაზ. „იმერეთი" იყიდება მოხმარებელი საზოგადოების მაღაზიაში.

## გ. გურდა[ს]ძის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაილის ქუჩაზე № 65.

## ძმ. ე. და პ. საკაშვილები

ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რ კ ი ნ ე უ ლ ო ბ ი ს ს ა ვ ა ჭ რ ო

ბუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხრ-ღუმელების; მოწყობილობა, ლურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვ., სახელოსნო ხელსაწყოები ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „შეშტი", სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობა, ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.




## ფილიპე ნ. ჭელიძის შამპანური

„თამარ მეფე" და



ოქროს მედალი

„კოლხიდა" **სამკურნალო და სუფრის ღვინოები.**

ფირმა დაჯილდოებულა სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და 5 ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მინისთვის მოწყობილ სარდაფში **მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურობით.**

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა

**ქუთაისში, მიტანას ფირმა კისრულობს**

**ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.**

**პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.**

**მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე.** მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 48.



## ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები, ველოსიპედები, საქსოვი და საკერავი მანქანები, გიტარები და მათი მოწყობილობა. ყიდვა შეიძლება როგორც ნაღდზე, აგრეთვე ნისიათ (თვიური შეღავათით).

ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

ჰყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

მიმართეთ პირდაპირ

## ძმ. [illegible]

[illegible] 150 [illegible]